პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №11

ქ. თბილისი

14.12.2017

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ქეთევან ჯაყელი – ა(ა)იპ - საქართველოს მუნიციპალური მომსახურების უზრუნველმყოფთა ასოციაციის (MSPA) საჯარო პოლიტიკის ექსპერტი, საბჭოს თავმჯდომარე (შემდგომში - თავმჯდომარე);
ელგუჯა მელაძე - ა(ა)იპ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ანასტასია ქიტიაშვილი – სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდის - საქართველოს (MCA – Georgia) პროექტის - „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის" პროფესიული განათლების ექსპერტი, საბჭოს მდივანი;
მამია ჯანჯალია - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის" დირექტორი;
ირაკლი შურღულაია - ა(ა)იპ - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) წარმომადგენლობის პროფესიული (დუალური) განათლებისა და კვალიფიკაციების ექსპერტი;
ეკატერინე ნარეშელაშვილი – სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფის უფროსი;
მიხეილ ჭელიძე – ა(ა)იპ - საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის აღმასრულებელი პრეზიდენტი;
მანანა მახარაშვილი - შპს „საზოგადოებრივ კოლეჯ Nataly Academy-ის" ხარისხის მენეჯერი;
თამარ ტაბიძე - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) ლექტორი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესიული განათლების ექსპერტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
კახაბერ ერაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაცია-აკრედიტაციის საბჭოების კოორდინაციის სპეციალისტი;
ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის კოორდინატორი;

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ჯავახეთის საზოგადოებრივი კოლეჯის წარმომადგენლები:
ლელა დემეტრაშვილი - დირექტორის მოადგილე
თამარ ვაჭარაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
კარლო ხუციშვილი - მთავარი ბუღალტერი

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ "აისის" წარმომადგენელი:
მალხაზი ასლამაზაშვილი - დირექტორი

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის წარმომადგენელი:
თეა ლილუაშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი

შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის წარმომადგენლები:
ამირან ტაკიძე - დირექტორი;
იზოლდა ხალვაში - დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში
თეიმურაზ ხალვაში - აპარატის უფროსი

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის წარმომადგენლები:
ნინო გომელაური - ხარისხის სამსახურის უფროსი
სოფო გომელაური - ხარისხის მართვის სამსახურის მენეჯერი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
ირმა ღარიბაშვილი;
ბარბარე გონაშვილი;
მზია ბაკურიძე;
ვახტანგ ბოგველიშვილი;
ნინო ხაჩიძე;
ალინა კუპრავა;
რუსუდან თედორაძე;
თამარ ნასყიდაშვილი;
სალომე სიორდია

სხვა დამსწრე პირები:
მარინა გოგოლაძე - ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონის ხარისხის მართვისა და საქმისწარმოების სამსახურის უფროსი
ლარისა გიორხელიძე - შპს სიო
ავთანდილ ჭანკვეტაძე - შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ,,კავკასიონი''

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:10 საათზე.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა კახაბერ ერაძემ განაცხადა, რომ თუ დამსწრე საზოგადოება წინააღმდეგი არ იქნებოდა საბჭოს სხდომის ოქმის მოსამზადებლად მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩანაწერის მომზადება და ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის ხელმოწერისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს ჯავახეთის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
2. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ "აისში'' განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
3. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივ კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
4. შპს ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
5. შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
6. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ხარებაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
7. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ხარებას მიერ ცენტრში წარმოდგენილი კორესპონდენციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, კახაბერ ერაძემ განაცხადა, რომ დღის წესრიგში განსახილველი მე-6 და მე-7 საკითხები ეხებოდა ერთიდაიგივე საგანმანათლებლო დაწესებულებას და შესაბამისად, უმჯობესია განხილულიყო ერთ საკითხად.

აღნიშნული შუამდგომლობის საფუძველზე საბჭომ კენჭისყრით შეცვალა სხდომის დღის წესრიგი და განისაზღვრა შემდეგნაირად:

1. შპს ჯავახეთის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
2. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ "აისში'' განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
3. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივ კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
4. შპს ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
5. შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
6. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ხარებას მიერ ცენტრში წარმოდგენილი კორესპონდენციის და შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ხარებაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

1. შპს ჯავახეთის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

შპს ჯავახეთის საზოგადოებრივ კოლეჯს საჯარო განხილვაზე წარმოადგენდნენ ლელა დემეტრაშვილი - დირექტორის მოადგილე; თამარ ვაჭარაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი და კარლო ხუციშვილი - მთავარი ბუღალტერი, რომლებმაც თავმჯდომარეს გადასცეს შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ დოკუმენტი დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის მაძიებლის თვითშეფასების შევსებულ ფორმასა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე ავტორიზაციის მაძიებლის მიერ წარდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე ავტორიზაციის მაძიებლის მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - ირმა ღარიბაშვილმა და ბარბარე გონაშვილმა.

ჯგუფის თავმჯდომარემ, ირმა ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ შპს ჯავახეთის საზოგადოებრივ კოლეჯში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 11, 12 და 13 ოქტომბერს.
შპს ჯავახეთის საზოგადოებრივმა კოლეჯმა კოლეჯის სტატუსის მოპოვების მიზნით, 2017 წლის 5 სექტემბერს, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინა საავტორიზაციო განაცხადი (ცენტრში რეგისტრაციის №1013296).
კოლეჯს სურს, ავტორიზაციის გავლის შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი, საოფისე საქმე და საფინანსო სერვისები) განხორციელება ქ. ახალქალაქში ორ მისამართზე: მიკოიანის ქ. №12 და რუსთაველის ქ. №23.
ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ კოლეჯის მარეგულირებელ დოკუმენტაციაში ხარვეზი აღინიშნა, კერძოდ, შპს ჯავახეთის საზოგადოებრივი კოლეჯის 2011 წლის 4 აგვისტოს დამფუძნებელთა კრების ოქმი №1-ის საფუძველზე დამტკიცებული წესდების მე-7 პუნქტის, 7.1 ქვეპუნქტის

მიხედვით ფიქსირდება ჩანაწერი - „ქმნის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას - **პროფესიულ კოლეჯს“**, ნაცვლად ჩანაწერისა - „ქმნის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას - **საზოგადოებრივ კოლეჯს“**. აღნიშნული ხარვეზი დაფიქსირდა დაწესებულების დებულების მეოთხე მუხლის 4.3 პუნქტში - კოლეჯის მისია, მიზნები და ამოცანები.

პროგრამების განხილვისას გამოიკვეთა შემდეგი ხარვეზები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული იყო 2017 წლის 27 თებერვალს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტები „საოფისე საქმე და ღონისძიების ორგანიზება“ და „საფინანსო სერვისები“ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №475 ბრძანებით დამტკიცდა 2017 წლის 7 აგვისტოს. აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტები, ახალი რედაქციით დამტკიცდა ცენტრის დირექტორის 2017 წლის 16 აგვისტოს №508 ბრძანებით. შესაბამისად, დაწესებულების დირექტორს 2017 წლის 27 თებერვალს საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების საფუძველი არ ჰქონდა. თავმჯდომარე დაინტერესდა რამდენად შესაბამისი იყო კოლეჯის მიერ დამტკიცებული პროგრამა ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტთან. ექსპერტებმა დაადასტურეს შესაბამისობა ჩარჩო დოკუმენტსა და პროგრამას შორის. კახაბერ ერაძემ საბჭოს განუმარტა, რომ ,,პროფესიული განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის თანახმად პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შექმნის საფუძველია პროფესიული სტანდარტი, ხოლო არსებობის შემთხვევაში-ჩარჩო დოკუმენტი.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის“ პროფესიული პროგრამა, რომელიც 2017 წლის 27 თებერვალს დამტკიცდა დაწესებულების დირექტორის მიერ, მოიცავს ჩანაწერს ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებით. 2017 წლის 16 აგვისტოს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №510 ბრძანებით განხორციელდა ცვლილება აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში და დამტკიცდა ახალი რედაქციით, რომელიც ითვალისწინებს ჩანაწერს ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებით. საგანმანათლებლო დაწესებულებას „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის“ პროფესიულ პროგრამაში ქართული ენის შესახებ ჩანაწერის განხორციელება შეეძლო 2017 წლის 18 აგვისტოს შემდგომ, რადგან ცვლილების შესახებ დაწესებულებას ეცნობა 18 აგვისტოს.

- დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ინტერვიუირებისას აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული საბჭოს ოქმი №1 საფუძველზე, მათ ჰყავთ პროგრამის ხელმძღვანელები განსაზღვრული. მათ აღნიშნული ოქმი წარმოადგინეს ექსპერტების ვიზიტისას ხელნაწერის სახით. დოკუმენტში მითითებულია, რომ თითოეული პროგრამისთვის განისაზღვრა პროგრამის ხელმძღვანელები, რომლებიც პროგრამებში განახორციელებდნენ ცვლილებებს.

ხოლო საგანმანათლებლო დაწესებულების დებულებაში (მუხლი 19. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი“) პროგრამის ხელმძღვანელის დამტკიცებაზე უფლებამოსილ პირად განსაზღვრულია-დირექტორი.
თვითშეფასების დოკუმენტის წარმოდგენის დროს ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში პროფესიული სპეციალიზაცია საფინანსო სერვისები და შესაბამისი კვალიფიკაცია არ არსებობდა, შესაბამისად, ამ პროგრამის წარმოდგენის უფლება დაწესებულებას არ ჰქონდა.

აღსანიშნავია, რომ შპს ჯავახეთის საზოგადოებრივი კოლეჯის დებულების მე-6 თავში (მუხლი 28, პუნქტი 28.2) მოცემულია შემდეგი ჩანაწერი - „მოდულური პროგრამების შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან“. თუმცა, ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა გაფორმებული მემორანდუმები, იმ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სადაც მოახდენენ საჭიროების შემთხვევაში სტუდენტების გადანაწილებას სწავლების დასასრულებლად.
აღნიშნული ხარვეზებიდან გამომდინარე, პირველი სტანდარტი დარღვეულია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ წინა საავტორიზაციო პერიოდში მემორანდუმები გაფორმებული იყო და მათ მხედველობიდან გამორჩათ ამ მემორანდუმების ხელახლა გაფორმება. ლელა დემეტრაშვილმა აქვე შენიშნა, რომ კოლეჯი შექმნილია ეპარქიის თანადგომით, ახალქალაქში ერთადერთი საგანმანათლებლო კერაა, რომელიც ქართული ენის გავრცელებას უზრუნველყოფს. კოლეჯის დირექტორის მოადგილის მოსაზრებით, ჯავახეთის რეგიონში არსებული სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით მეტად მნიშვნელოვანია კოლეჯის ფუნქციონირება.
მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით მისამართების მიხედვით გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:
ა) ქ. ახალქალაქი, რუსთაველის ქ. 23
დაწესებულებაში (5 აუდიტორიაში) სულ არის 39 სკამ-მერხი, 10 მერხი, 22 სკამი. მოცემული რესურსი დააკმაყოფილებს 59 სტუდენტს. დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ადგილების ზღვრული რაოდენობაა 48 (26 ადგილი - ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროგრამაზე; 22 ადგილი - საფინანსო სერვისები). 302 და 303 სასწავლო ოთახები გამჭოლია. 303 ოთახი არის შესასვლელი, რომელიც ადმინისტრაციის განმარტებით გამოიყენება აუდიტორიად და აღჭურვილია მატერიალური რესურსით. სტუდენტი 302, 305 და 307 აუდიტორიებში ვერ მოხვდება, თუ არ გაიარა 303 სასწავლო აუდიტორია.

ბ) ქ. ახალქალაქი, მიკოიანის ქ. №12
პირველი სართულზე განთავსებულია სულ 35 სკამ-მერხი; მეორე სართულზე- 12 ორადგილიანი მერხი, 5 სამადგილიანი მერხი, 13 სკამ-მერხი და 40 სკამი. ჯამში სულ 87 ადგილია სტუდენტთა უზრუნველსაყოფად. დაწესებულების მიერ ადგილების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა კი - 142 ადგილია მოცემულ მისამართზე.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ აუდიტორიები გამჭოლია. ასევე შენობის პირველ სართულზე აუდიტორიებში განთავსებულია არასასწავლო ნივთები - გაზქურა, ჭურჭლის კარადა, ჭურჭლის სარეცხი ნიჟარა, წყლის გამაცხელებელი, რის გამოც აღნიშნულ აუდიტორიაში, წარმოდგენილ პროგრამებზე სწავლების განხორციელება მიზანშეწონილი არ არის. სასწავლო ოთახები უზრუნველყოფილი არ არის მასწავლებლის კომპიუტერით და დემონსტრირების ციფრული საშუალებებით. გარდა ამისა, დაწესებულების ადმინისტრაციას მიეცა რეკომენდაცია, რომ მოაწესრიგონ ხელოვნური განათება. ერთი სველი წერტილი პირველ სართულზე შესასვლელში საჭიროებს სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვით მოწყობას. მოსაწესრიგებელია პირველი სართულის სასწავლო ოთახები.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ შენობაში, რომელიც მდებარეობს რუსთაველის ქ. №23, გამოყოფილია ბიბლიოთეკისთვის განკუთვნილი ოთახი. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი წიგნები არ შეესაბამება სასწავლო ლიტერატურას, უმეტესი მათგანი განეკუთვნება მხატვრულ ლიტერატურას. დაწესებულებაში შემუშავებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, თუმცა ვიზიტის პროცესში არ იყო გამოკრული. ვიზიტისას წარმოადგინეს ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნი არასრული ჩამონათვალით და მოდულებიდან ამოკრებილი ელექტრონული სახელმძღვანელოების დასახელებები სამ CD დისკზე საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად.

ექსპერტების განმარტებით, ბიბლიოთეკაში არ არის სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 1 მაგიდა სკამით, 2 სავარძელი და 1 ლეპტოპი. არ არის ასლგადამღები და პრინტერი. ბიბლიოთეკის ფართი არის პატარა მოცულობის, ფაქტობრივად არ არის სამკითხველო დარბაზის სივრცე. მოდულებში მითითებული სახელმძღვანელოები ბიბლიოთეკაში არ აქვთ წარმოდგენილი.

შენობაში, რომელიც მდებარეობს მიკოიანის ქ. №12-ში, არის ბიბლიოთეკისთვის გამოყოფილი ადგილი, თუმცა სრულად არის აღსაჭურვი საგანმანათლებლო რესურსით.

მისამართზე - რუსთაველის ქ. №23, კოლეჯი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, აქვს ინტერნეტი, რომელიც მუშაობს შეფერხებით და უკაბელო შიდა ქსელი (Wifi) მთელს შენობაში. მაგრამ ქვესტანდარტი 2.4 დარღვეულია მისამართზე მიკოიანის ქ. №12.

რუსთაველის ქ. №23-ში დაწესებულებას არ გააჩნია ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის. დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ აქვთ გასაშლელი პანდუსი, მაგრამ ექსპერტების განმარტებით მათ პანდუსი ვიზიტისას არ უნახავთ. ამ მისამართზე სველი წერტილები არ არის ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის.

მიკოიანის ქ. №12 -ში შენობის შესასვლელში არის მოწყობილი ლითონის პანდუსი, თუმცა არ არის ხელის მოსაკიდი მოაჯირი. შენობა ორსართულიანია, მეორე სართულზე ასასვლელ კიბეებზე მოწყობილია ხის პანდუსები. ერთი სველი წერტილი ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის. ამ მისამართზე აუდიტორიები გამჭოლია, არ არის დამოუკიდებელი შესასვლელი, რაც ასევე ქმნის ბარიერს სსსმ სტუდენტებისთვის.
შესაბამისად, ექსპერტთა შეფასებით, ქვესტანდარტი 2.7 ორივე შენობაში დარღვეულია, აღნიშნული ხარვეზებიდან გამომდინარე, მეორე სტანდარტი დარღვეულია.
თავმჯდომარე დაინტერესდა, აღნიშნული ქუჩები რამდენად შორს იყო ერთმანეთისაგან და თითოეულ მისამართზე რა რაოდენობის სტუდენტების მიღებას გეგმავდა დაწესებულება. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს ქუჩები ერთმანეთთან ახლოს მდებარეობს. დაწესებულებას სურს მიკოიანის ქ. №12 -ში განახორციელოს სამი პროგრამა : ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი - 26 სტუდენტი; საოფისე საქმე - 90 სტუდენტი; საფინანსო სერვისები 26 სტუდენტი, ხოლო რუსთაველის ქ. №23-ში - ორი პროგრამა: ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი - 26 სტუდენტი; საფინანსო სერვისები 22 სტუდენტი.
დაწესებულების წარმომადგენლებმა საბჭოს სხდომას წარუდგინეს ფოტომასალა სასწავლო ფართის ფაქტობრივი მდგომარეობის შესაფასებლად.

თამარ ტაბიძემ აღნიშნა, რომ მისთვის მეტად მნიშვნელოვანია სასწავლო გარემო და ადამიანური რესურსი, ამიტომ მისი სურვილი იყო საბჭოზე ფოტომასალის წარმოდგენა. ამ შემთხვევაში წარმოდგენილი ფოტოები ცხადყოფს, რომ სასწავლო გარემო არადამაკმაყოფილებელია, მით უფრო, რომ საავტორიზაციოდ წარმოდგენილი პროგრამები არ საჭიროებს ძვირადღირებულ და განსაკუთრებულ აღჭურვილობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ამ ეტაპზე სხვა ფართის მოძიება ვერ შეძლეს, სამომავლოდ იგეგმება ახალი ფართის შეძენა, რომელიც დააკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს. აქვე შენიშნეს, რომ ამ პირობებშიც შესაძლებელია სტუდენტმა ისწავლოს, რადგან მათ ჰყავთ კვალიფიციური პროფესიული მასწავლებლები.

ირაკლი შურღულაია დაინტერესდა, ექსპერტები დაესწრნენ თუ არა ლექციებს და რამდენად კვალიფიციური კადრებია კოლეჯში. ექსპერტებმა განმარტეს, რომ ვიზიტისას დაწესებულება ავტორიზებულ რეჟიმში არ იმყოფებოდა და შესაბამისად, ლექციები არ მიმდინარეობდა. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეებით დადასტურდა, რომ პედაგოგთა კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს.
ექსპერტების განმარტებით, დაწესებულებას აქვს მხოლოდ 12 კომპიუტერი. შესაბამისად, კომპიუტერების მოცემული რაოდენობა დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობას, 190

პროფესიულ სტუდენტს, ვერ დააკმაყოფილებს. ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში კოლეჯი შეძლებს 140 სტუდენტის მიღებას. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით მათ აქვთ 20 კომპიუტერი. მათ შორის 5 ჩუქების ხელშეკრულებით. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ვიზიტის დროს ადგილზე ვიზუალური დათვალიერებისას, მხოლოდ 12 კომპიუტერი იყო განთავსებული.

თავმჯდომარე დაინტერესდა, საავტორიზაციო წინა პერიოდში რამდენ პროგრამას ახორციელებდა დაწესებულება, საშუალოდ რამდენი პროფესიული სტუდენტი იყო თითოეულ პროგრამაზე და დასაქმების რა სტატისტიკური მაჩვენებლები აქვს კოლეჯს. კოლეჯის წარმომადგენელმა, კარლო ხუციშვილმა მოახსენა საბჭოს, რომ კოლეჯი ახორციელებდა ორ პროგრამას, ჯამში დაახლოებით 90 სტუდენტი სწავლობდა. ყველა კურსდამთავრებული დასაქმებულია ადგილობრივ შრომის ბაზარზე.

დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ექსპერტთა დასკვნაში მითითებული ყველა ხარვეზი გამოასწორეს და რეკომენდაციები გაითვალისწინეს. აქვე შენიშნეს, რომ ექსპერტები არ იმყოფებოდნენ იმ პრაქტიკის ობიექტზე, რომელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ტექნიკურად შეცდომით იყო მითითებული ნაცვლად ,,საოფისე საქმისა'' მითითებული იყო ,,ოფის მენეჯერი''. აღნიშნული ხარვეზიც გამოსწორებულია. პანდუსის არ ქონასთან დაკავშირებით განმარტეს, რომ პანდუსი ასაკეცია, მოხსნილი იყო ვიზიტის დროს და ცენტრში წარმოდგენილ ფოტომასალაში უკვე ჩანს, რომ ადგილზეა.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ცენტრმა ექსპერტებს მიაწოდა. წერილში მოცემული ინფორმაციის თანახმად კოლეჯის მიერ გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო მე-5 დანართის სახით, თუმცა ეს დანართი წერილს არ ახლდა. დაწესებულების წარმომადგენელმა მოახსენა საბჭოს, რომ ტექნიკური ხარვეზი იყო აღნიშნულთან დაკავშირებით, დოკუმენტაცია თან ჰქონდათ და საჭიროების შემთხვევაში წარუდგენდნენ საბჭოს.

კახაბერ ერაძემ საბჭოს განუმარტა, რომ საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ვიზიტის დროს არსებული მდგომარეობით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად დაწესებულება უფლებამოსილია, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში, საჭიროების შემთხვევაში, ცენტრში ერთჯერადად წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის

ცვლილებასთან დაკავშირებით, რაც არ მომხდარა. ამ ვადის გასვლის შემდგომ საავტორიზაციო განაცხადსა და/ ან მასზე თანდართულ დოკუმენტებში ცვლილების განხორციელების შემთხვევაში ცენტრი უფლებამოსილია გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი წარმოების შეწყვეტის შესახებ. კახაბერ ერაძემ აქვე განმარტა, რომ ავტორიზაციის დებულების 22-ე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, ზეპირ მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში არ მიიღება ავტორიზაციის მაძიებლის ის დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა საავტორიზაციო ვიზიტის შემდეგ. შესაბამისად, საბჭო არ არის უფლებამოსილი განიხილოს ვიზიტის შემდგომ განხორციელებული ცვლილებები.

საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა საკითხი, შპს ჯავახეთის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად, საბჭოს წევრებს დამატებით ემსჯელათ და სხდომის ბოლოს მიეღოთ გადაწყვეტილება. რაზეც საბჭოს წევრები დაეთანხმნენ. საკითხის განხილვა დასრულდა დღის წესრიგის ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ.

საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა შეფასება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-6 და მე-7 მუხლებით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ჯავახეთის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 140-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4 (მამია ჯანჯალია; ირაკლი შურღულაია; მიხეილ ჭელიძე; მანანა მახარაშვილი)

წინააღმდეგი - 5 (ქეთევან ჯაყელი; ელგუჯა მელაძე; ანასტასია ქიტიაშვილი; ეკატერინე ნარეშელაშვილი; თამარ ტაბიძე)

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მეთერთმეტე პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის მეშვიდე პუნქტის შესაბამისად, შპს ჯავახეთის საზოგადოებრივ კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 423351456) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

2. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ "აისში" განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

კახაბერ ერაძემ განმარტა, რომ 2017 წლის 22 სექტემბერს საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ "აისისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი. ექსპერტთა ვიზიტის დროს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში არსებულ კოლეჯის ფილიალში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. აგრეთვე, მოლაპარკება მიმდინარეობდა ინტერნეტის მომწოდებელ კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმების მიზნით. საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, კოლეჯში სასწავლო პროცესის დაწყებამდე, მონიტორინგი განხორციელდა ლაგოდეხის ლოკაციის მზაობასთან დაკავშირებით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ცენტრმა ინფორმაცია გამოითხოვა კოლეჯისაგან. კოლეჯმა წარმოადგინა შესაბამისი ფოტომასალა და ინტერნეტის მომწოდებელ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება. აღნიშნულ დოკუმენტაციას იცნობდა საბჭო.

კახაბერ ერაძემ საბჭოს წარუდგინა კოლეჯის ფილიალის ამჟამინდელი მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა. თამარ ტაბიძე დაინტერესდა კოლეჯის ლაგოდეხის ფილიალი რამდენ სტუდენტზეა გათვლილი და თუ აქვთ სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი. კოლეჯის დირექტორმა განმარტა, რომ კოლეჯის ლაგოდეხის ფილიალში 180 სტუდენტის მიღების შესაძლებლობაა, აქედან ამჟამად ორ პროფესიულ პროგრამაზე მიღებულია 28 სტუდენტი. სტუდენტთა საერთო საცხოვრებლისათვის შენობა არის, თუმცა ჯერჯერობით არ ფუნქციონირებს და მომავალში იგეგმება აღნიშნული შენობის რეაბილიტაცია.

თავმჯდომარე დაინტერესდა, დამატებითი კითხვები ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ "აისისათვის'' ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ "აისის'' (საიდენტიფიკაციო კოდი: 227770800) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

3. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივ კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივ კოლეჯს საჯარო განხილვაზე წარმოადგენდა თეა ლილუაშვილი, რომელმაც თავმჯდომარეს გადასცა შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ დოკუმენტი დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

კახაბერ ერაძემ განმარტა, რომ 2017 წლის 21 სექტემბერს საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა. ვიზიტის პერიოდში დასრულებული არ იყო გარკვეული აღჭურვილობების შესყიდვის პროცედურები, თუმცა ტენდერები გამოცხადებული ჰქონდათ.

საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე კოლეჯში სწავლის დაწყებამდე მონიტორინგი განხორციელდა აღჭურვილობის მიწოდებასთან დაკავშირებით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ცენტრმა გამოითხოვა ინფორმაცია კოლეჯისაგან. კოლეჯმა წარმოადგინა შესაბამისი აღჭურვილობის მიღება-ჩაბარების აქტები და შესყიდვების დოკუმენტაცია.

თამარ ტაბიძე დაინტერესდა, თუ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი ამჯერად და რამდენი სტუდენტი ირიცხება კოლეჯში. თეა ლილუაშვილმა უპასუხა, რომ კოლეჯში სწავლა მიმდინარეობს და სულ ირიცხება 127 სტუდენტი, აქედან 20 სტუდენტი დაბა თიანეთში და 10 სტუდენტი დაბა სტეფანწმინდაში.

ელგუჯა მელაძემ მიაჩნია, რომ საბჭოს სხდომაზე დირექტორის არყოფნა, დირექტორის მხრიდან უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამომხატველია.

თავმჯდომარე დაინტერესდა, დამატებითი კითხვები ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 1 (ელგუჯა მელაძე)
წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის (საიდენტიფიკაციო კოდი: 236098851) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

4. შპს ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - მზია ბაკურიძემ, ვახტანგ ბოგველიშვილმა და ნინო ხაჩიძემ.

მზია ბაკურიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 9 და 10 ნოემბერს. ექსპერტებმა შეამოწმეს ავტორიზაციის სტანდარტების შესრულება. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ დასკვნაში მხოლოდ ერთი ქვესტანდარტის დარღვევაა აღნიშნული, რაც ეხება სპეციალური საჭიროებების მქონე პირთათვის ადაპტირებულ გარემოს. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულებას აქვს შემუშავებული სსსმ სტუდენტთა მომსახურების წესი და განსაზღვრულია უფლებამოსილი პირი სსსმ პირთა მომსახურების მიმართულებით და საჭიროების შემთხვევაში ამ წესის მიხედვით იმოქმედებენ.

პირველ სართულზე გამოყოფილია სასწავლო აუდიტორიები სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის, პირველ და მეორე სართულზე დამონტაჟებულია ასაკეცი პანდუსები. ამავე სართულებზე განლაგებული სველი წერტილები ადაპტირებული არ არის შშმ პირთათვის. სველ წერტილებში დამონტაჟებული არ არის საყრდენი მოაჯირები შშმ პირთათვის. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტს წვდომა ვერ ექნება ბიბლიოთეკასთან, პრაქტიკის სახელოსნოებთან, ადმინისტრაციასთან, რადგან დასახელებული კაბინეტები განლაგებულია სასწავლებლის მესამე და მეოთხე სართულებზე. შესაბამისად აღნიშნული ქვესტანდარტი დარღვეულია.

კოლეჯის დირექტორის მოადგილემ იზოლდა ხალვაშმა განმარტა, რომ 2013 წელს კოლეჯში სარემონტო სამუშაოები სატენდერო კომპანიამ შეასრულა. თუმცა არასათანადო ხარისხით შესრულებული სამუშაოების გამო, წყალმა გამოჟონა და ამან გამოიწვია კაფელის ჩამოშლა კედლებიდან, შედეგად მოიშალა სველ წერტილებში დამონტაჟებული საყრდენი მოაჯირები შშმ პირთათვის.

მამია ჯანჯალია დაინტერესდა, რამდენ პროგრამას ახორციელებენ და რამდენი აქტიური სტუდენტი ჰყავთ. იზოლდა ხალვაშმა უპასუხა, რომ კოლეჯი ახორციელებს 12 პროგრამას და სულ 346 სტუდენტი. მამია ჯანჯალია დაინტერესდა კოლეჯს ჰყავს თუ არა შშმ სტუდენტი.

იზოლდა ხალვაშმა უპასუხა, რომ კოლეჯის ფუნქციონირების მანძილზე შშმ სტუდენტი არ ჰყოლიათ.

ვახტანგ ბოგველიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტებმა კოლეჯს მისცეს რიგი რეკომენდაციები. კახაბერ ერაძემ განმარტა, რომ რეკომენდაციების გათვალისწინება დაწესებულების პრეროგატივაა, რეკომენდაციები ორიენტირებულია კოლეჯის შემდგომ განვითარებაზე. აქვე შენიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში საბჭო უფლებამოსილია, საგანმანათლებლო დაწესებულებას ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვროს არაუმეტეს 60 დღის ვადა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აშკარაა, რომ ამას შედეგი არ მოჰყვება.

დაწესებულებამ დაადასტურა, რომ დაგეგმილია სპეციალური საჭიროებების მქონე პირთათვის ადაპტირებულ გარემოთი უზრუნველყოფა. კოლეჯის დირექტორმა გამოთქვა მზაობა, რომ აღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრილი იქნება თუ საბჭო მისცემდა გარკვეულ ვადას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, იყვნენ თუ არა თანახმა, ესარგებლათ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-10 პუნქტით და დაწესებულებისათვის განესაზღვრათ ხარვეზის გამოსწორების 60 დღიანი ვადა. საბჭოს ყველა წევრი დაეთანხმა თავმჯდომარის წინადადებას.

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, საბჭომ ხარვეზად მიიჩნია შშმ პირთათვის ადაპტირებული სველი წერტილის არარსებობა და გადაწყვიტა კოლეჯს ხარვეზის გამოსასწორებლად მიეცეს 60 დღე, შესაბამისად კოლეჯში ამ ხარვეზის გამოსწორების დადასტურების მიზნით მონიტორინგი განხორციელდეს 60 დღის შემდეგ და შედეგები ეცნობოს საბჭოს.

5. შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯს საჯარო განხილვაზე წარმოადგენდნენ ნინო გომელაური და სოფიო გომელაური, რომლებმაც სხდომის თავმჯდომარეს გადასცეს შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ დოკუმენტი დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - ალინა კუპრავამ და რუსუდან თედორაძემ.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ კოლეჯში მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 24 და 25 ივლისს. საკითხი საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა 16 აგვისტოს სხდომაზე და საბჭომ ხარვეზების გამოსასწორებლად განუსაზღვრა 60 დღიანი ვადა. 61-ე დღეს განხორციელდა მონიტორინგის განმეორებითი ვიზიტი და ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ დასკვნა მოიცავს ინფორმაციას იმ ხარვეზების ამჟამინდელი სტატუსის (გამოსწორება/ არ გამოსწორების) თაობაზე, რაც წინა ვიზიტის დროს იქნა დაფიქსირებული. ექსპერტთა შეფასებით, ყველა ხარვეზი გამოსწორებულია. ექსპერტებმა შეამოწმეს, რამდენად შესრულდა დაწესებულების რეგულაციის მიხედვით მიმდინარე წელს სტუდენტთა მიღება. ექსპერტებმა შეამოწმეს სტუდენტთა პირადი საქმეებიც და ამ მიმართულებით შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

თავმჯდომარე დაინტერესდა, ექსპერტებს რამე სახის ხარვეზი ან რეკომენდაცია ხომ არ დაუფიქსირებიათ. ალინა კუპრავამ აღნიშნა, რომ ხარვეზები არ დაფიქსირებულა, გამოვლინდა ერთი გარემოება, რომ საგნობრივ პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტებს ქართულ ენაზე კომუნიკაცია უჭირთ. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ექსპერტებს განუმარტეს, რომ კოლეჯი ახლადჩარიცხული არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის ახორციელებს ქართული ენის კურსებს, 2017 წლის შემოდგომაზე ჩარიცხულ სტუდენტებთან ჯერ არ დაწყებულა ქართული ენის დამატებითი გაკვეთილები. თავმჯდომარე დაინტერესდა, რომელ წელს მიღებულ სტუდენტებს უჭირდათ ქართულ ენაზე კომუნიკაცია. ექსპერტებმა განმარტეს, რომ აღნიშნული ძირითადად ეხებათ მიმდინარე წელს ჩარიცხულ სტუდენტებს. თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ მოხდა გასაუბრება 2015 ან 2016 წელს ჩარიცხულ სტუდენტებთან. ექსპერტებმა განმარტეს, რომ

სტუდენტებთან გასაუბრების მიზნით დაწესებულების წარმომადგენლებმა შეარჩიეს სტუდენტები დაწესებულებაში ადგილზე მყოფი სტუდენტებიდან.
თავმჯდომარე დაინტერესდა რამდენი სტუდენტი იქნა მიღებული 2017 წელს. დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო გომელაურმა მოახსენა საბჭოს, რომ 2017 წელს მიღებულ იქნა 150 სტუდენტი, აქედან ყველა სტუდენტმა დაადასტურა ქართული ენის ფლობა ტესტის საშუალებით. აქვე შენიშნა, რომ აზერბაიჯანულ სკოლაში მიღებული განათლების მქონე სტუდენტები, რომლებიც ქართული ენის რეპეტიტორთან ემზადებიან, ქართულ ენაზე გამართულად ვერ მეტყველებენ, თუმცა დახურული და ღია კითხვებით შედგენილ ტესტს გამართულად წერენ. ანასტასია ქიტიაშვილმა აღნიშნა, ბუნებრივია შეუძლიათ წერა და არაა გასაკვირი, რომ ვერ საუბრობენ. მისი მოსაზრებით, ეს შესაძლოა გარკვეული კომპლექსების შედეგია. კოლეჯის დირექტორმა აღნიშნა, რომ სწორედ ამიტომ ასწავლიან სტუდენტებს დამატებით ქართულ ენას, თან ეს მომსახურება სტუდენტებისთვის სრულიად უფასოა.
თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენ სტუდენტს გაესაუბრნენ ექსპერტები და მათგან რამდენმა ვერ შეძლო ქართულ ენაზე კომუნიკაცია. ალინა კუპრავამ უპასუხა, რომ გაესაუბრნენ 10 სტუდენტს და მათგან 2 სტუდენტს გაუჭირდა კომუნიკაცია, თუმცა აღნიშნა, რომ მათ შეუძლიათ ელემენტარული კომუნიკაცია, როგორიცაა შემდეგ კითხვებზე პასუხი: ,,რა გქვია? სად სწავლობ? რას სწავლობ? '' თუმცა დარგობრივ ჭრილში კითხვებზე: ,,ანატომიის ლექციაზე რაზე ისაუბრეთ?'' სტუდენტის პასუხია ,,ძვლებზე'' ნაცვლად სიტყვა ,,ხერხემლისა''.
ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ სამივე სტანდარტი დაკმაყოფილებულია.
თავმჯდომარე დაინტერესდა, დამატებითი კითხვები ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის (საიდენტიფიკაციო კოდი: 234158498) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

6. **შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ხარებას მიერ ცენტრში წარმოდგენილი კორესპონდენციის და შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ხარებაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა**

საკითხის განხილვისას, 15:40 სთ-ზე სხდომას შემოუერთდა მანანა მახარაშვილი

კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენელი არ ესწრება საბჭოს და განმარტა, რომ მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს ცენტრში შემოვიდა კორესპონდენცია (ცენტრში რეგისტრაციის №1336161) შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ხარებადან, რომლითაც დირექტორი ითხოვს ავტორიზაციის შეწყვეტას. ამ დროისთვის კოლეჯში უკვე განხორციელებული იყო გეგმიური მონიტორინგი და აღნიშნული კორესპონდენცია მას შემდეგ იქნა წარმოდგენილი, რაც დაწესებულებამ მიიღო ვიზიტის დასკვნის პროექტი. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - თამარ ნასყიდაშვილმა და სალომე სიორდიამ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ თამარ ნასყიდაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტი დაგეგმილი იყო 11 და 12 ოქტომბერს, კოლეჯის მიერ თვითშეფასების კითხვარში წარმოდგენილ მისამართზე: ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. № 5; VI სართული. მონიტორინგის განხორციელებას ჯგუფი გეგმავდა წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, თუმცა, ადგილზე არსებული ფაქტობრივი გარემოების გამო აუცილებელი გახდა ვიზიტის ფორმატის და შესაბამისად დღის წესრიგის ცვლილება.

თამარ ნასყიდაშვილმა აღნიშნა რომ ფაქტობრივ მისამართზე კოლეჯი აღარ ფუნქციონირებს და შენობის მე-6 სართულზე მიმდინარეობს სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, თუმცა აღნიშნული ფართით მოსარგებლე აღარაა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ხარება. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ადგილზე დახვდათ კოლეჯის დირექტორის ნდობით აღჭურვილი პირი, პედაგოგი, რომელმაც სიტყვიერად განმარტა, რომ აღნიშნული კოლეჯი მითითებულ მისამართზე აღარ ფუნქციონირებს, შეწყვეტილია ყველანაირი საქმიანობა, მათ შორის სწავლის პროცესი. მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და დოკუმენტაცია დასაწყობებული და განთავსებულია სხვადასხვა ადგილზე, კერძოდ, შენობის ნულ სართულზე, სარდაფში დასაწყობებულია მაგიდების გარკვეული რაოდენობა, ხოლო ნაწილი კი წაღებულია სხვა მისამართზე, ქინძმარაულის ქ.№ 15-ში, შ.პ.ს."ალგორითმის" შენობაში.

დირექტორმა სატელეფონო საუბრისას განაცხადა, რომ ვერ წარმოადგენდნენ დოკუმენტაციას მატერიალური სახით, ვინაიდან ყველანაირი დოკუმენტაცია სხვა დანარჩენ ინვენტართან ერთად არის შეფუთული და დასაწყობებული. დირექტორის განმარტებით ასევე შეუძლებელი იყო სტუდენტების და პედაგოგების მოყვანა ინტერვიუირების განსახორციელებლად.

ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ კოლეჯი არ ფუნქციონირებს, აღნიშნულს ადასტურებს კოლეჯის ფაქტობრივი მდგომარეობა და კორესპონდენცია ავტორიზაციის შეწყვეტის თაობაზე,

თავმჯდომარე დაინტერესდა, დამატებითი კითხვები ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ხარებასათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და 25-ე მუხლის მეშვიდე პუნქტის შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ხარებას (საიდენტიფიკაციო კოდი: 402004415) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 16:30 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
ანასტასია ქიტიაშვილი